www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3383 (189) | ფასი 50 თეთრი

„პროტესტი სოჭის ოლიმპიადას„

„საქართველომ რუსეთს მეჩირაღდნე - სამხრეთ ოსეთის ომის გმირი აპატია“ - ამ სათაურით ეხმაურება რუსული სააგენტო Lenta.ru საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებას იმის შესახებ, რომ კომიტეტი 2014 წლის სოჭის ოლიმპიურ თამაშებში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის საფუძველს ვერ ხედავს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან და საქართველოს მთავრობისგან განსხვავებით, საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი რუსეთს აგვისტოს ომის მონაწილის მეჩირაღდნეობას ვერ „პატიობს“.

სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების საკითხზე საქართველოს მოქალაქეებმა პეტიცია მოამზადეს, რომელშიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვსა და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ლევან ყიფიანს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისკენ მოუწოდეს.

„გვსურს, მოვუწოდოთ საქართველოს მთავრობას და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, შეცვალონ გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობის შესახებ. მაშინ როდესაც რუსეთის ხელისუფლება სისტემატურად არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას და ახდენს საოკუპაციო ზოლის გადმოწევას, ვთვლით, რომ ყოვლად გაუმართლებელი იქნება საქართველოს მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ქუთაისის ციხეში არასრულწლოვანი გარდაიცვალა

ქუთაისის N2 საპყრობილეში არასრულწლოვანი პატიმარი, სენაკელი გოგი ძველაია გარდაიცვალა. 16 წლის ახალგაზრდა საპატიმროში ერთი დღის მიყვანილი იყო.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, გარდაცვლილი მარიამობის დღესასწაულზე საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა, თუმცა იგი ციხეში მეორედ, ქურდობის ბრალდებით მოხვდა.

„ერთი წლის განმავლობაში არასრულწლოვანი პირველად გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, ეს სუიციდია. მისი შემოყვანიდან 24 საათიც არ იყო გასული, თუმცა ეს იყო მისი მეორე პატიმრობა. დღის განმავლობაში იგი რამდენჯერმე მოინახულეს. სოციალური სამსახურის წარმომადგენელი ნახევარი საათის გასული იყო მისი საკნიდან, როდესაც ეს ფაქტი მოხდა,“ - აღნიშნა სოზარ სუბარმა.

გარდაცვლილის მამის თენგიზ ძველაიას განცხადებით, პატიმარს თავის მოკვლის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, რადგან საპყრობილეს გირაოს სანაცვლოდ მალე დატოვებდა. გარდაცვლილის მამა ამბობს, რომ მისი შვილი მოკლეს და მას ქუთაისის ციხის ერთ-ერთ ე.წ. მაყურებელთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, რაც ოჯახისთვისაც ცნობილი იყო.

სოზარ სუბარის განმარტებით, მაყურებელთან ან ვინმესთან კონფლიქტზე საუბარი შეუძლებელია, რადგან გარდაცვლილი განმარტოებულ საკანში იმყოფებოდა.

„ახალგაზრდა ადამიანი, 16 წლის ბიჭი, პრაქტიკულად ერთი დღით იყო დაკავებული, მას არ ჰქონია შეხება არც ერთ სხვა პატიმართან.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ნაბიჯი უკან

ნიკა ვაჩეიშვილი
პროფესორი

ძალიან მინდა, კულტურული მემკვიდრეობის სფერო წარმატებული ვიხილო. დინამიკაში მყოფს, მას ბევრი გამოწვევის გადალახვა შეეძლო. დღეს მხოლოდ ერთ საკითხის შესახებ მინდა, ჩემი აზრი გამოვთქვა.

მთავარი გამოწვევა ძეგლთა დაცვის, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროსთვის ის იყო, რომ არ არსებობდა ერთიანი ნაციონალური ქსელი, რომელიც უზრუნველყოფდა დაცვის არა ერთი კომპონენტის (მაგალითად, რესტავრაციის), არამედ მთელი სისტემის მოქმედებას. ეს ნიშნავს: დიდი ტერიტორიის რეგულარულ ზედამხედველობას, ძეგლის მიგნებას, ადეკვატურ ატრიბუციას, გეოსაინფორმაციო სისტემაში ინტეგრაციასა და ოპერირებას (მაგ GoogeMaps-ის სისტემაში), ძეგლთა სახეცვლაზე (ადამიანური, ბუნებრივი) რეაგირებას, ღირებულის და ნაკლებღირებულის რანჟირებას, რესტავრაციისთვის საბაზისო ინფორმაციის მოპოვებას, გადაუდებელი გადარჩენის ღონისძიებებში საჭირო მონაწილეობას, საარქივო მასალასთან მათ დაკავშირებასა და პუბლიცირებას, აუცილებელ პოსტმონიტორინგს, მოძრავი და უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში მასალის გამუდმებულ შევსება-კორექტირებას და სხვა, ასევე ამ ყველაფრის განუყოფელი კომპონენტის, «არამატერიალური მემკვიდრეობის“ ღირებული მოვლენების იდენტიფიცირებასა და დოკუმენტირებას, საბოლოოდ კი არა «უკონტექსტო ძეგლის“, რამედ ე.წ. «კულტურული ლანდშაფტის“ დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფას, საზოგადოების მეტ მოზიდვას ამ საინტერესო საქმეში.

ასეთი კომპლექსური ციკლის თბილისიდან განხორციელება შეუძლებელია.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ამგვარი ციკლი თუ არსებობს, სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა უკვე გაჩნია.

ამ ციკლის მუშაობას უზრუნველყოფდა ჩვენი ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, მისი მუზეუმ-ნაკრძალები და მისივე რეგიონული მუზეუმები, რომლებსაც მოპოვებული მრავალმხრივი ინფორმაციით სისტემური კავშირი ჰქონდათ არა მხოლოდ ცენტრთან - თბილისთან, არამედ ერთმანეთთან, შიდარეგიონულ დონეზე.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

კიევი ისევ ორ სკამზე ჯდომას ცდილობს

მოსკოვმა კი უკრაინის მიმართ თაფლაკვერის გამოყენებაც სცადა

ია ჭილაჯავა

ნიკოლაი აზაროვი

ალტერნატივის წინაშე მდგომმა უკრაინამ, როგორც ჩანს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გეოპოლიტიკური არჩევანი გააკეთა - ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპისთვის. თუმცა ოფიციალური კიევის მტკიცებით, მათ არჩევანის გაკეთება არც სჭირდებოდათ. ისინი კვლავ აპირებენ ურთიერთობების გაღრმავებას როგორც ევროკავშირთან, ასევე საბაჟო კავშირთან (მომავალში ის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირად უნდა გადაკეთდეს).

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		31°C - 20°C
ქუთაისი		33°C - 20°C
ზუგდიდი		32°C - 21°C
ბათუმი		27°C - 21°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ლევან მჭედლიძე „ემპოლიში„ რჩება

ცოტა ხნით ადრე ითქვა, თითქოს სერია B-ს ბინადარი „ემპოლის“ 23 წლის ქართველი თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე მომავალი სეზონიდან სერია A-ს „პარმაში“ გააგრძელებდა კარიერას, დღეს კი ვიტყობთ, რომ მჭედლიძემ ამჟამინდელ კლუბთან 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა ხელშეკრულება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

უძინართა და სახლის გამყიდველთა ამბავი

გამოვიდა სალომე ბენიძისა და ეკა ქევანიშვილის კრებულები

ია ვეკუა

პირველ წიგნს რბილი ყდა აქვს, ნაზია, ადვილად გადაკეცავ, დახევ, დააქუცმაცებ - სწორედ ისე, როგორც ერთი ქალის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს, მეორე წიგნი კი მაგარ ყდაში ზის, მტკიცედ დამდგარი ქალივით ყდაში. პირველი წიგნის ავტორი სალომე ბენიძეა და მას „ამბავი უძინართა“ ჰქვია, მეორეს კი მაგარ ყდაზე „სახლის გაყიდვა“ და ეკა ქევანიშვილი აწერია. ორივე წიგნში ლექსებია თავმოყრილი, მათი შეძენა უკვე შეგიძლიათ, წაკითხვა კი უკვე თქვენი ნებაა.

ამ წიგნის დასაწერად სალომე ბენიძეს წელიწადნახევრის განმავლობაში არ ეძინა.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

ეკა ქევანიშვილი

„პროტესტი სოჭის ოლიმპიადას„

პირველი გვერდიდან

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საოკუპაციო ძალების ქმედებების შედეგად, დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომისა და სასმელ-სარწყავი წყლის გარეშე აღმოჩნდა. აღნიშნული ქმედებით რუსეთის ხელისუფლება ცდილობს კონფლიქტის ზონასთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებას და საკუთარი სოფლებიდან განდევნას. ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო შეურაცხყოფას ემსახურება რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, 2008 წლის აგვისტოს ომის ე.წ. გმირი აანთებს ოლიმპიურ ჩირაღდანს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის პროტესტის გამოცხადება იქნება საქართველოს ხელისუფლების ადეკვატური ნაბიჯი და პასუხი რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებებისა და საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფაზე. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გამოხატოს პროტესტი რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ განხორციელებული ქმედებების წინააღმდეგ. სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარის თქმა იქნება მსოფლიო თანამეგობრობისადმი გზავნილი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება არასდროს შეეგუება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას,“ - ნათქვამია პეტიციაში.

პეტიციას, რომელიც სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა, ხელს აწერენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი; ნინო ლომჯარია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი; ეკა როსტომაშვილი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“; ლევან ნატროშვილი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პროექტების მენეჯერი; ზურაბ გველესიანი, იურისტი და სხვა).

ხელმოწერები გრძელდება და ყველა მოქალაქეს, რომელიც სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებას ემხრობა, შეუძლია, პეტიციის ქვემოთ მოცემულ შესაბამის ველში საკუთარი პოზიცია ხელმოწერით დააფიქსიროს.

„სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელ ნინო ლომჯარიას განცხადებით, სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების მოთხოვნით პეტიციის მომზადების გარდა, შესაძლოა, მშვიდობიანი ხასიათის აქციებიც დაიგეგმოს.

„შემდეგი სახის ღონისძიება ალბათ მშვიდობიანი ხასიათის აქცია იქნება. ამ დროისთვის რამე კონკრეტული ღონისძიება დაგეგმილი არ არის, თუმცა თუ საზოგადოებაში ამის მოთხოვნილება და საჭიროება იქნება, ამასაც გავაკეთებთ,“ - განცხადა ნინო ლომჯარიამ.

რაც შეეხება ონლაინპეტიციას, რომელიც სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების მოთხოვნით მომზადდა და რომლის ერთ-ერთი ინიციატორი „სამართლიანი არჩევნებიც“ არის, ნინო ლომჯარიას ინფორმაციით, ამ დროისთვის მასზე 2000-მდე მოქალაქის ხელმოწერაა.

„სამართლიანი არჩევნებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინიციატივით შეიქმნა ონლაინპეტიცია, რომელიც გამოხატავს არა მხოლოდ არასამთავრობოების პოზიციას, არამედ განკუთვნილია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველომ სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს. მათ შეუძლიათ, შევიდნენ „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ფეისბუქის გვერდებზე, მიუთითონ საკუთარი სახელი და გვარი და შემოუერთდნენ პეტიციას. ამ დროისთვის არსებული ხელმოწერების რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ საზოგადოებას ამ საკითხთის მიმართ ცალსახად საპროტესტო განწყობა აქვს,“ - აღნიშნავს ნინო ლომჯარია და დასძენს, რომ პეტიციის ავტორთა აზრით, რუსეთმა უკვე ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირებისთვის საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონოდა.

სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მიიჩნევს, რომ რუსეთის მხრიდან სოჭის ოლიმპიური თამაშების მეჩირაღდნედ აგვისტოს ომის მონაწილის არჩევა პროვოკაციაა და საქართველომ ოლიმპიადისკენ მშვიდობიანი სვლა უნდა განაგრძოს.

„ცალსახაა, რომ ეს პროვოკაცია იყო, მაგრამ ჩვენ პროვოკაციას ალბათ მშვიდობიანი პასუხი უნდა გავცეთ. შესაბამისი რეაგირება მოჰყვა, ოლიმპიური კომიტეტის და საქართველოს მთავრობის განცხადებებმა გაიჟღერა. შესაბამისად, ჩვენ პროვოკაციას არ ავყვებით. უბრალოდ, ოლიმპიადისკენ მშვიდობიანი სვლა უნდა გავაგრძელოთ და ვფიქრობ, ამ დასახულ მიზანს მივაღწევთ,“ - განაცხადა მინისტრმა.

ვიცე-პრემიერ კახი კალაძის შეფასებით, რუსეთმა ვერ ან არ დაინახა ურთიერთობის დასარეგულირებლად საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

„რუსეთმა ვერ დაინახა ან მიზანმიმართულად არ დაინახა ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები ურთიერთობების დარეგულირებისთვის. მიმაჩნია, რომ სპორტი ზოგადად არაპოლიტიზებულია, მაგრამ ჩვენ ეს ვერ დავინახეთ იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც დღეს მოვისმინეთ. მთავრობაში ამაზე მსჯელობა გვექნება,“ - განმარტა კახი კალაძემ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი ამბობს, რომ რუსეთის მხრიდან „ასეთი ტიპის ქმედებების“ გაგრძელებას საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილება მოჰყვება.

„რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, ეს პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანოს. თუ ახლო მომავალში ასეთი ტიპის ქმედებები გაგრძელდება და კიდევ უფრო გაძლიერდება, ჩვენ აუცილებლად შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთ,“ - განაცხადა პეტრიაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხებში ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ რუსეთი ოლიმპიური თამაშების კიდევ უფრო მეტად პოლიტიზებას ცდილობს.

„ერთადერთი არგუმენტი, რის გამოც ჩვენ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა გადავწყვიტეთ, ის იყო, რომ არ გვინდა, პოლიტიკა და სპორტი, ასე ვთქვათ, ერთმანეთში ავურიოთ. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთი ამას სხვანაირად უყურებს და აშკარად ცდილობს ოლიმპიური თამაშების კიდევ უფრო მეტად პოლიტიზებას,“ - აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

კულტურის ყოფილი მინისტრის ნიკა რურუას განმარტებით, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე უარის თქმით საქართველოს ეძლევა საშუალება, ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემისკენ მსოფლიოს ყურადღება მიაპყროს.

ნიკა რურუასთვის გაუგებარია არგუმენტები, თუ რატომ უნდა მიიღოს საქართველომ მონაწილეობა ამ თამაშებში.

„რუსეთმა საგანგებოდ შეარჩია მეჩირაღდნედ ის ადამიანი, რომელიც აგვისტოს ომთან არის დაკავშირებული. ჩვენ ამ ღია და თავხედურ გამოწვევას პროტესტით უნდა ვუპასუხოთ. იქ წასვლით ხაზს გავუსვამთ იმას, რომ რუსეთი თავის ქმედებაში მტყუანი არ იყო, ეს საშიში რამაა,“ - აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ.

მისივე განმარტებით, სპორტსმენებს, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე წასვლა სურთ, შეუძლიათ, ოლიმპიადის დროშის ქვეშ ინდივიდუალურად იასპარეზონ. რურუას თქმით, ელენე გედევანიშვილი მზად არის, ამ თამაშებში მონაწილეობაზე უარი თქვას.

„ელენე გედევანიშვილი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სპორტსმენია, თანახმაა, უარი თქვას სოჭის ოლიმპიადაზე. ის მთავრობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ელოდება,“ - განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

რაც შეეხება უარის თქმის შემთხვევაში მოსალოდნელ სანქციებს, კულტურის ყოფილი მინისტრის თქმით, სანქციები მძიმე არ იქნება, რადგან საქართველო მართალია.

„საქართველო ოკუპირებული ქვეყანაა და ამაზე კარგი საშუალება, რომ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას მსოფლიოს ყურადღება მიაპყროს, საქართველოს აღარ ექნება. მთავრობა დღეს ერთი კაცის - ივანიშვილის სიგნალს ელოდება, ის კი გადაწყვეტილების მიღებას ყოყმანობს,“ - განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე აღნიშნავს, თავად რომ ყოფილიყო სპორტსმენი, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე არ წავიდოდა.

ყოფილი პირველი დიპლომატის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას თავი უნდა შეეკავებინა წინასწარ იმის განცხადებისგან, რომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას აპირებს.

„ყველაზე სწორი იქნებოდა, თავი შეგვეკავებინა და დღევანდელ ხელისუფლებას არჩევნებამდე არ გაეკეთებინა ის ავანსები და განცხადებები, რაც გააკეთა. წინა ხელისუფლებას არასდროს უთქვამს, რომ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებას ვაპირებდით, მაგრამ არც ის განგვიცხადებია, რომ მონაწილეობას მივიღებდით - ველოდებოდით მოვლენების განვითარებას და იმას, თუ როგორი იქნებოდა ომის შემდეგ საქართველო-რუსეთის არარსებული, მაგრამ მაინც რაღაც კუთხით არსებული ურთიერთობა. მაგრამ იმან, რომ ხელისუფლებამ ავანსად ღიად განაცხადა, რომ საქართველო სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებდა, რუსეთს საშუალება მისცა, ყველაფერზე წასულიყო. არ ვიცი, როგორ დავახასიათო ნეჩაევის მიერ ჩირაღდნის ხელში აღება. აგრესორ ადამიანს, რომელიც გორში მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავდა, თანამშრომლობის, მეგობრობის და მშვიდობის სიმბოლო მისცეს,“ - აღნიშნა ვაშაძემ.

ყოფილი მინისტრის თქმით, სოჭში წასვლა საქართველოსთვის მომგებიანი არ იქნება.

„მას შემდეგ, რაც რუსეთმა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ პროვოკაციული ქმედებები განახორციელა, ე.წ. „რუსეთის გმირს“ ჩირაღდანი ანდეს და სეპარატისტული საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენელ ჟურნალისტებს აკრედიტაცია გაუგრძელეს. მე რომ ვიყო სპორტსმენი, არ წავიდოდი, ხოლო ქვეყნის ხელისუფლება რომ ვიყო, მტკიცედ ვიტყოდი - მანდ წასვლა არ ღირს, რადგან ეს ნამდვილად არ იქნება ჩვენთვის მომგებიანი,“ - აღნიშნა ვაშაძემ.

მისივე განმარტებით, ამ სიტუაციიდან გამოსავალი არსებობს - ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა სპორტსმენებმა ოლიმპიური კომიტეტის სახელით იასპარეზონ.

„ერთ-ერთი გამოსავალი ის იყო, რომ მიგვემართა ოლიმპიური კომიტეტისთვის, რომ სპორტსმენები გამოსულიყვნენ ოლიმპიური დროშით, როგორც ეს 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის დროს იყო და მათი გამარჯვების შემთხვევაში შესრულებულიყო ოლიმპიური კომიტეტის ჰიმნი და არა - საქართველოსი. ამ შემთხვევაში სპორტსმენები წარმოადგენდნენ მხოლოდ ოლიმპიურ კომიტეტს, თავიანთ თავს და არა - ქვეყანას. სპორტსმენები არ გააცდენდნენ ოლიმპიურ ციკლს, საქართველო კი არ აღმოჩნდებოდა იმ სიტუაციაში, რაშიც დღეს არის,“ - განმარტა გრიგოლ ვაშაძემ.

სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი ეხმაურება. იგი გაკვირვებულია იმის გამო, რომ ოლიმპიადაზე ქართველების არწასვლა დაფიქრების საგანია.

„მთელი დღეა, ვუსმენ მსჯელობას სოჭის ოლიმპიადაზე წასვლა-არწასვლის თემაზე და ძალიან მიკვირს, რომ არწასვლა და მონაწილეობის არმიღება კიდევ დასაფიქრებელი ყოფილა. ნუთუ, ვიღაც მფრინავის (რომელიც, ჩვენს ქვეყანას ბომბავდა) მეჩირაღდნეობაა მხოლოდ მიზეზი, რომ მონაწილეობა არ მივიღოთ ღონისძიებაში, რომლის მთავარი მასპინძელი აგდია ამ მფრინავისთვის ბრძანების მიმცემი? მავთულხლართები და ცინიკურად მიცემული ორდღიანი ვადა საკუთარი სახლების დემონტაჟისთვის, არ არის მიზეზი? სოჭის სტადიონი აფხაზეთიდან ჩატანილი ინერტული მასალებით რომ არის აგებული და ეს ინერტული მასალები, ჩვენი თანამოძმეების სისხლით რომ არის გაჟღენთილი, არც ესაა მიზეზი? მაშინ ალბათ არც ის, რომ სოჭის ოლიმპიური სტადიონიდან, მეორე იარუსიდან, სადაც ქართული დელეგაცია უნდა დაბრძანდეს, კარგად გამოჩნდება გაგრის ის სტადიონი, სადაც ქართველების მოკვეთილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ აფხაზეთის ომის დროს,“ - წერს ირაკლი პეტრიაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხს გამოეხმაურა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მშვილდოსნობაში ქეთევან ლოსაბერიძე. მისი აზრით, ბოიკოტის გამოცხადება სპორტული სამყაროსთვის საზიანოა, თუმცა ღირსების საკითხია.

„ბოიკოტი ძალიან ცუდია სახელმწიფოსთვის, სპორტული სამყაროსთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ღირსების საკითხია. რომ გითხრათ, გადაწყვეტილი პასუხი მაქვს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, მოგატყუებთ - პასუხი არ მაქვს. რუსეთი მტერია, რომელიც სულ გვამცირებს, მაგრამ, მეორე მხრივ, სპორტული ცხოვრებაც რომ არ განვაგრძოთ, ესეც არ შეიძლება. 90 პროცენტით არ მინდა, რომ სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოვუცხადოთ, მაგრამ მართლა და მართლა ღირსების საკითხიც არის - თავზე ხომ არ უნდა დაგვაჯდეს რუსეთი?“ - აღნიშნავს მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ქუთაისის ციხეში არასრულწლოვანი გარდაიცვალა

პირველი გვერდიდან

შესვლისთანავე მან დაწერა განცხადება და განმარტოებულ საკანში ყოფნა მოითხოვა და ის განმარტოებულ საკანში იყო მოთავსებული. წინასწარი ვერსია სუიციდია, თუმცა დანარჩენს გამოძიება დაადგენს. ძალიან კარგად მესმის ოჯახის, როდესაც ასეთი ტრაგედია ხდება და ოჯახს ყოველთვის აქვს ეჭვები, მაგრამ ამ წუთისთვის ეს ინფორმაცია გვაქვს. მაყურებელზე ან ვინმესთან კონფლიქტზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან ის შემოსვლისთანავე განმარტოებულ საკანში იყო,“ - განაცხადა მინისტრმა.

თუმცა, მისივე თქმით, გარდაცვლილმა ცალკე საკანში ყოფნა მოითხოვა, რადგან ამბობდა, რომ გარკვეული კატეგორიის პატიმრებთან პრობლემები ჰქონდა.

„ძალიან გაუგებარია, რა მოხდა, რადგან თავად იცოდა, რომ რამდენიმე დღეში უნდა გათავისუფლებულიყო. გირაო ჰქონდა შეფარდებული. მისივე მოთხოვნით, ის ცალკე საკანში იყო, რადგან, როგორც თავად ამბობდა, პრობლემები ჰქონდა გარკვეული კატეგორიის პატიმრებთან,“ - განაცხადა სუბარმა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ ღურწკაიას განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, 16 წლის გოგა ძველაიამ ზეწრით ჩამოიხრჩო თავი.

ღურწკაიას განმარტებით, ზოგადი წესების შესაბამისად, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკანში განთავსებამდე უნდა გამოკვლეულიყო.

„მე არ მაქვს ინფორმაცია, ჩაუტარდა თუ არა მას გამოკვლევა, თუმცა სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი გამოძიებას მიაწვდის ინფორმაციას აღნიშნული პირის სამედიცინო შემოწმებაზე,“ - განაცხადა მიხეილ ღურწკაიამ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გარდაცვლილის ოჯახის ვერსიას გამორიცხავს, რომლის მიხედვით, პატიმარი დაპირსპირების ნიადაგზე გარდაიცვალა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ონიშჩენკო მიიჩნევს, რომ მისი შვიდწლიანი გაკვეთილი უშედეგო აღმოჩნდა

მარიამ ლორთქიფანიძე

ქართულმა ღვინომ „როსპოტრებნადზორის“ სტანდარტები კვლავ ვერ დააკმაყოფილა. „ბი-ბი-სის“ რუსული სამსახურის ინფორმაციით, „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ ბაზარზე ქართული ალკოჰოლური პროდუქციის 28 სახეობის დაშვებაზე უარი განაცხადა.

გენადი ონიშჩენკომ ქართული ღვინის იმპორტზე პირველი ემბარგო 2006 წელს დააწესა. მიზეზად კი ღვინის უხარისხობა დაასახელა. ქართულ მხარეს ემბარგო 7 წლის შემდეგ, 2013 წელს მოეხსნა, თუმცა ქართული ღვინის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის მიმართ „როსპოტრებნადზორს“ კვლავ შენიშვნები აქვს. **„ექსპერტიზის შედეგებით, ბოლო კვირის განმავლობაში 28 საექსპორტო დასკვნა გაფორმდა, რომლებშიც ნათქვამია, რომ წარმოდგენილი პროდუქციის ნიმუშები მოთხოვნებს არ შეესაბამება,“** - განაცხადა ონიშჩენკომ.

„როსპოტრებნადზორის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ჩამოთვლილია ის შვიდი კომპანია, რომლებიც რუსეთის ჰიგიენურ ნორმებს არ შეესაბამება. ესენია: „იმედი 96», „შალვინო“, წინანდალი - 21-ე საუკუნის საუკეთესო ღვინოები“ , „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „ძმები ასკანელები“, „ახალშენი 2005“ და „საამო.“ **„ყოველივე ამან კიდევ ერთხელ დაგვაეჭვა ქართული მხარის სურვილში, დაამყაროს გრძელვადიანი, სტაბილური და ცივილიზებული ურთიერთობები, რომლის მთავარი საყრდენიც შეიძლება, რუსულ ბაზარზე სტაბილურად ხარისხიანი ღვინის სახეობების წარმოდგენა იყოს,“** - აღნიშნა ონიშჩენკომ. მისი განცხადებით, მრავალწლიანი ემბარგოს მიუხედავად, ქართულმა ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა მაინც ვერ ისწავლეს გაკვეთილი. **„ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, გადავხედოთ ქართული მხარის მისწრაფებას, დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები ჩვენთან,“** - აღნიშნა გენადი ონიშენკომ.

გენადი ონიშჩენკოს განცხადებას ქართული მხარე ეხმაურება. როგორც ქართული კომპანიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ონიშჩენკოს განცხადებაში შეცდომაა და ქართული ღვინის ექსპორტს რუსეთში საფრთხე არ ემუქება. „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელ ჯიმი ჩხაიძის თქმით, **„ვგრძნობთ, რომ დიდი მოთხოვნილებაა. ჩვენი პარტნიორები ხარისხით კმაყოფილები არიან. ვფიქრობთ, ეს რაღაც გაგუგებრობაა. ჩვენი წარმომადგენელი რუსეთი უწყების წარმომადგენელს შეეხმიანა და იქიდან პასუხი მივიღეთ, რომ ასკანელის შესახებ ნეგატიური არაფერი თქმულა.“**

„შუხმან ვაინს ჯორჯიას“ დამფუძნებელი როლანდ გურდიაშვილი ონიშჩენკოს განცხადებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. მისი ინფორმაციით, „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ წარმოების სამი დასახელების ღვინო «როსპოტრებნადზორმა» მართლაც დაიწუნა. **„ამ წუთში ვაწარმოებთ და ვამზადებთ პროდუქციას რუსეთისთვის. ასე რომ, არ არის ეს საგანგაშო ან ახალი ინფორმაცია, რომ ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე არ დაიშვება ან ონიშჩენკომ რომელიმე კონკრეტული კომპანიას რუსეთში ღვინის შეტანა აუკრძალა,“** - აღნიშნა როლანდ გურდიაშვილმა.

ონიშჩენკოს განცხადებას საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილიც გამოეხმაურა. **„სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესის 8 თვის განმავლობაში შენიშვნები გამოითქვა 28 პროდუქტის მიმართ. მათი ნაწილი განმეორებით შემოწმდა და რუსეთის ბაზარზე დაიშვა. თითოეული პროდუქტი, შესაძლოა, ისეთი ორიგინალური იყოს, საერთოდ არ ჯდებოდეს რუსეთის სტანდარტებში. თითოეული ქართული კომპანია 30-40 დასახელების პროდუქტს აწარმოებს. სრულიად ბუნებრივი პროცესია, რომ შენიშვნები არსებობდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესი ასეთი გრძელი და ბიუროკრატიულია - საჭიროა ბევრი დოკუმენტი და უამრავი პარამეტრის შემოწმება. ამიტომ, ცალკეული პროდუქტის მიმართ შენიშვნები ლოგიკური და ახსნადია, ამაში განსაკუთრებით პრობლემატურს ვერაფერს ვხედავ,“** - განუცხადა საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა „ინტერპრესნიუსს“.

ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, 630-ზე მეტ ქართულ პროდუქტს რუსეთში სახელმწიფო რეგისტრაცია უკვე გავლილი აქვს და ექსპორტი შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ნატო წლიური ეროვნული პროგრამების შესრულებას აფასებს

საქართველოში ნატო-ს შემფასებელთა მისია იმყოფება, რომელიც ორი დღის განმავლობაში შეხვედრებს მართავს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებაში ჩართულ საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე 2013 წლის ANP-ს თვითშეფასების დოკუმენტი განიხილება, რომელიც ერთი კვირის წინ ბრიუსელში უკვე გაიგზავნა. დოკუმენტში 2013 წლისთვის გაწერილი ამოცანების შესრულების მდგომარეობაა ასახული. მის შემუშავებას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი უწევს კოორდინაციას. წლის ბოლოს ნატო საქართველოს მიერ 2013 წლის ANP-ს განხორციელებას შეაფასებს.

ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენელი კრისტიან მესზაროსი, რომელიც თბილისში იმყოფება, აღნიშნავს, რომ წლიური პროგრამა 2013 წლისთვის დასახულ მთელ რიგ რეფორმებს მოიცავს. **„ამის საფუძველზე შეფასებას გავაკეთებთ, ნატო-ს წევრ ქვეყნებს ინფორმაციას მივაწვდით და შესაბამისად, რეკომენდაციები მათაც ექნებათ,“** - აღნიშნავს მესზაროსი.

ხმალაძე 2014 წლის ბიუჯეტის პროექტს აკრიტიკებს

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამო პარლამენტში პლენარული სხდომები შეჩერებულია. ერთადერთი საკითხი, რომელსაც პარლამენტის კომიტეტები განიხილავენ, საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტია. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ერთი მოსმენით განიხილება. მანამდე კი პარლამენტი და მთავრობა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო სახის მისაღებად რამდენიმეკვირიან განხილვას აწარმოებენ.

გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი დეპუტატებს ფინანსთა მინისტის პირველმა მოადგილემ გიორგი თაბუაშვილმა წარუდგინა.

პროექტის მიხედვით, 2014 წელს მისაღები შემოსულობების მთლიანი მაჩვენებელი 8 მილიარდ 661 მილიონ 800 ათასი ლარით არის განსაზღვრული, გადასახდელების კი - 9 მილიარდ 9 მილიონი ლარით. მნიშვნელოვნად იზრდება სამი სამინისტროს დაფინანსება. კერძოდ: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება, 2013 წელთან შედარებით, 356 მილიონ 995 ათასი ლარით მეტია და 2 მილიარდ 636 მილიონ 461 ათასს ლარს აღწევს; სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, წინა წელთან შედარებით, გათვალისწინებულია 49 მილიონი ლარით მეტის გამოყოფა, რაც სულ 280 მილიონ ლარს შეადგენს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება კი 94 მილიონ 300 ათასი ლარით გაიზრდება და 764 მილიონ 300 ათასი ლარი იქნება. **2014 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია სამთავრობო პროგრამა - ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის , რამაც მოსახლეობის სოციალური დაცვის გაუმჯობესება და ეკონომიკური განვითარება უნდა უზრუნველყოს,“** - თქვა გიორგი თაბუაშვილმა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კომიტეტის წევრებს ასევე გააცნო იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, საკონსტიტუციო სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ასიგნებები. პროექტის მიხედვით იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მომავალ წელს დაფინანსება უმცირდებათ, რაც სხვადასხვა პროექტების დასრულებით არის განპირობებული.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის მთელი რიგი დებულებები დაუსაბუთებელია. პარლამენტარის თქმით, ბიუჯეტის პროექტს თანხების ხარჯვის საკითხზე სათანადო განმარტება არ ახლავს.

„ჩვენ საუბარი გვქონდა იმ უწყებებზე, რომლებიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის კონტროლის სფეროში შემოდის, ეს არის იუსტიციის სამინისტრო, შს სამინისტრო და ნაწილობრივ სასჯელაღსრულების სამინისტრო. სათაურებიდან ჩანს, რა ტიპის პროექტების დაფინანსებისთვის გამოიყოფა თანხები, მაგრამ ამ პროექტს არ ახლდა სათანადო დასაბუთება, რატომ ამდენი და არა სხვა რაოდენობის თანხა. ჩვენ არაერთგზის გვითქვამს, რომ ბიუჯეტი პროგრამული უნდა იყოს. წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტი ნაწილობრივ არის პროგრამული, მაგრამ ჯერ კიდევ არასრულფასოვანია,“ - მიიჩნევს ვახტანგ ხმალაძე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს მთავრობას, რომ მომავალში ყველა ცალკეულ პროგრამას თან ახლდეს ზუსტი აღწერა: **„ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რა იხარჯება, რამდენი იხარჯება, რისთვის იხარჯება, რათა ეს კითხვები აღარ არსებობდეს. ეს სამომავლოდ. ხოლო ამჟამად, უკვე როდესაც პარლამენტში, სხდომებზე დაიწყება ბიუჯეტის პროექტის განხილვა, იქ იქნეს წარმოდგენილი პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც კომიტეტში თანხების დაფინანსების მიმართ დაისვა.“**

ბიუჯეტის პროექტის მიმართ შენიშვნები აქვს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის გათვალისწინებული დაფინანსებით უკმაყოფილოა. 2014 წლის ბიუჯეტით სამინისტროს დაფინანსება 23 მილიონი ლარია. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელთან შედარებით დაფინანსება 2.3 მილიონი ლარით არის გაზრდილი, კომიტეტის შეფასებით, ეს სამინისტროს ბიუჯეტის ზრდად ვერ განიხილება, რადგან 2013 წელს სამინისტროს ახალშექმნილი საქვეუწყებო დაწესებულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანხები არასრული წლისთვის იყო გათვალისწინებული. საქმე ის არის, რომ 2013 წელს ბუნებრივი რესურსების კომპონენტი ენერგეტიკის სამინისტროდან გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. კომიტეტში მიიჩნევენ, რომ 2014 წელს სამინისტროს დაფინანსება 28 მილიონ ლარს უნდა შეადგენდეს. გარდა ამისა, 28 მილიონ ლარში არ შედის რეინჯერების, მეტყევეების და ინსპექტორების ხელფასების ზრდა, რაც კომიტეტის წევრთა აზრით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გამართულ ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე კი კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია დაინტერესდა, ბიუჯეტის პროექტით პატიმართა რესოციალიზაციისთვის რა პროგრამების დაფინანსებაა გათვალისწინებული.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, რამდენიმე პროგრამის ამოქმედება იგეგმება, მათ შორის საწარმოს შექმნა, სადაც პატიმრები იმუშავებენ, მიიღებენ ხელფასს. მაგალითისთვის გიორგი თაბუაშვილმა რუსთავში დაარსებული საწარმო დაასახელა.

საკუთარი ინფორმაცია

თვალსაზრისი

ნაბიჯი უკან

პირველი გვერდიდან

ხოლო როცა საქმე ეხებოდა მძიმე მდგომარეობაში მყოფ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს, მაგალითად - ვარძიას, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალიდან 24 საათის განმავლობაში დიაგნოსტიკური გეო-რადარით უშუალოდ ვარძიის კლდეებიდან გადასცემდა მონაცემებს რომის გარემოს დაცვისა და კვლევის ინსტიტუტს (The Institute for Environmental Protection and Research, ISPRA), პროცესებზე დასაკვირვებლად და ქმედების დასაგეგმად.

ქვეყნის მასშტაბით სისტემის ასამოქმედებლად ქართველებს დაგვეხმარნენ ევროპის სახელმწიფო სტრუქტურები (ნორვეგიის Riksantikvaren-ი მისი ანალოგიური Askeladden სისტემით) ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები („მეწყერის საწინააღმდეგო საერთაშორისო პროგრამა“ (IPL), «გაერთიანებული ერების ოფისი კატასტროფის რისკის შესამცირებლად“ (UNISDR), «მეწყერის საწინააღმდეგო საერთაშორისო კონსორციუმი“ (ICL), რომლებმაც მემკვიდრეობის მთელი სისტემის ამოქმედების, ასევე დავით გარეჯის, კაცხის სვეტისა და ვარძიის კომპლექსის პრობლემატიკის შესასწავლად წამყვანი მეცნიერები ჩართეს.

მუზეუმ-ნაკრძალებს და მუზეუმებს დაუდგინდათ სამოქმედო არეალები ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით და სახელმწიფომ აამოქმედა მთელი ეს სისტემა ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში (მკითხველს არ დავღლი მუზეუმების ჩამონათვალის მოტანით, ამის შესახებ იხ. ჯერ კიდევ არსებული ინფო www.heritagesites.ge-ზე). სიტყვას არ გავაგრძელებ სისტემის გაფართოების კონცეფციაზე, ასევე მომიჯნავე სისტემის - «ეროვნული მუზეუმის“ შემადგენლობაში არსებულ მუზეუმთა განსხვავებულ მისიაზე, სადაც ნაციონალური ღირებულების კოლექციები ინახება. ამას დაინტერესებულები სააგენტოს გამოცემებში იოლად ნახავენ.

სააგენტოს რეგიონულ მუზეუმებს გაუჩნდათ მნიშვნელოვანი ფუნქცია, თავიანთი კოლექციები წარმოაჩინონ ისტორიულ-გეოგრაფიულ კონტექსტში, აღრიცხონ და უპატრონონ კოლექციებსა და «ღია ცის ქვეშ“ არსებულ მემკვიდრეობას, განახლებული ცოდნითა და მასალით მოაწყონ ახალი და ახალი გამოფენები, იყვნენ საჭირო მათი მუშაობის ყოველი დღის განმავლობაში, რასაც ქმნის ამ მუზეუმების მკაფიო მისია (ჩაძინებული და უფუნქციო რეგიონული მუზეუმები ყველას გვახსოვს) და ეს მისია შეუძლიათ, ახალ თაობას გაუზიარონ უამრავი საგანმანათლებლო პროგრამით.

დაიწყო დიდი ხნის დილემის გადალახვა - კვალიფიციური თბილისი და რეგიონის უმისიო, არაკვალიფიციური კადრები და ორგანიზაციები.

მგონი, არსებობდა ყველა პირობა სამუშაოს გაგრძელებისა და მიზნის წარმატებით მიღწევისა (მაგ. ამ მუზეუმების განახლების და ინფრასტრუქტურის მოწყობის გაგრძელება, მეტი კვალიფიკაცია, გაფართოებული პროფილის პროგრამები და სხვა).

ამ გზის გაგრძელების ნაცვლად, საპირისპიროს ვადევნებთ თვალს.

დაგეგმილია სააგენტოსა და მემკვიდრეობის დაცვის სისტემის ერთიანი ქსელის რღვევა, ამ ქსელში მონაწილე სუბიექტების სტატუსის შეცვლისა და სისტემიდან ამოთიშვის გზით.

რეგიონული მუზეუმების პრობლემატიკის გადაჭრის ნაცვლად, მათი დაქუცმაცება კვლავ მათ უფუნქციობას და «ძილს“ გამოიწვევს.

მივმართავ მათ, ვისაც სააგენტოსთვის ზედმეტი ტვირთი ჰგონია ქვეყნის მემკვიდრეობის მართვაში მონაწილე მუზეუმების სისტემაში ყოფნა - დაფიქრდით, სანამ მცდარ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ინსტიტუციური განტოტვა არა შემთხვევითობის, არამედ ინსტიტუციური გამოცდილებისა და ბევრი ადამიანის შრომის ნაყოფია.

ყოველდღიური
ყოფითი
წვრილმანები
წყდება
ინდივიდუალურად

მნიშვნელოვანი
საკითხები
წყდება
ურთიერთთანხმობით

სამართლიანობის
საკითხი
წყდება ერთხმად

ხელისუფლების
საკითხი კი წყდება
მხოლოდ
საყოველთაო
დემოკრატიული
არჩევნების გზით

დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია

www.cesko.ge

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

უძინართა და სახლის გამყიდველთა ამბავი

პირველი გვერდიდან

სალომე ბენიძე

პირველ ღამეს ერთი ღამის გათენების წერილი დაწერა, წერილი მეორე ღამემაც შვა და ასე გაგრძელდა, ვიდრე ლექსების წიგნად აკინძვისა და ყდაში მოქცევის დრო არ მოვიდა. დრო კი ავტორმა ზუსტად შეარჩია - სწორედ, ის, როდესაც დარწმუნდა, რომ ლექსებად მოთხრობილი ათას ერთი ზღაპარი მართლაც ზღაპრად, დაუჯერებელ და შორეულ ამბად იქცა და მისგან საბოლოოდ განთავისუფლება შეეძლო. სალომე ამბობს, რომ ეს წიგნი მისი ცხოვრების უკვე განვლილი ეტაპის სიტყვებით დახატული ილუსტრაციაა, თუმცა არა ის, რომელიც სამუდამოდ წარსულში უნდა დარჩეს — ქალების ისტორიები ხომ ასე ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

სალომე ბენიძე: „ამ წიგნის მთავარი გმირი თავად გახლავართ. კრებულს კიდევ ერთი ძირითადი პერსონაჟი ჰყავს, თუმცა ის მაინც უამრავი ადრესატისთვის განკუთვნილი ერთი დიდი წერილია. ეს არ არის მხოლოდ ჩემთვის დაწერილი ლექსები, ისინი ალბათ ყველა ქალის ცხოვრების ცალკეულ სცენებს - ტრაგედიებსა თუ ბედნიერებას აღწერს, ამიტომ მგონია, რომ ბევრი ქალი ამ ლექსებში ნაცნობ ფრაზებს, საკუთარი ცხოვრების სუბტიტრებს აღმოაჩენს, რადგან ყველას გაგვაჩნია ჩვენი საკუთარი სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, საყვარელი ადამიანები.“

ჯერ კიდევ შარშან ამ დროს სალომე ბენიძე წლის ერთ-ერთ საუკეთესო დებიუტანტად მიიჩნეოდა, რადგან ეკა ტოგონიძესთან „საბა“ სწორედ მან გაიყო ლექსების კრებულისთვის „მოხსენებითი ბარათი“. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა, სწორედ ის წელიწადნახევარი, როდესაც სალომეს ერთი წამითაც არ მოუხუჭავს თვალი, არ დაუძინია და ზოგჯერ თითებიდან გამოჟონილი სისხლითაც უწერია ამბები შეუძლებელ მომავალზე, თვითმკვლელებზე, ქარვის ანგელოზებსა და ეჭვით ავადმყოფებზე, რადგან ასე იყო საჭირო, ასე სჭირდებოდა თავად მას.

სალომე ბენიძე: „ამბავი უძინართა“ წინა კრებულზე გაცილებით საპასუხისმგებლო და ცოტა საშიშიც იყო, რადგან „საბას“ შემდეგ მკითხველის მხრიდან მოლოდინი გაცილებით დიდი და კრიტიკულია. თუმცა წიგნის ხასიათი ამ შიშით არ განპირობებულა - ის ჩემი ცხოვრების უკვე განვლილმა ეტაპმა შვა. კრებული ძალიან პირადია, იმდენად პირადი, რომ ზოგჯერ მასში შესული ლექსების გადაკითხვაც კი მაშინებს. ვფიქრობ, კარგია, როდესაც ავტორი ასე გულახდილია, რადგან მკითხველს მის ლექსებთან მიახლოვება უფრო უადვილდება, უცხოობის გამო დაბრკოლება არ ხვდება.“

და აქვე ერთი დეტალი: „ინტელექტის“ მიერ გამოცემული „ამბავი უძინართა“ შესაძლოა სწორედ ის კრებული აღმოჩნდეს, რომლითაც სალომე ბენიძე პოეზიაში ტაიმ აუტს აიღებს, რადგან არ გამორიცხავს, რომ მისი მომდევნო წიგნი პროზაული ნაწარმოებების კრებული იქნება - ესეც დამატებითი მოტივაცია მისი ბოლო წიგნის შესაძენად...

***

...სახლი ასეთია: ერთი აივანი, ორი სართული, ავტოფარეხი, მანდარინის ხეების მწკრივი და მეზობელ სახლამდე გაჭიმული თოკი, რომელზეც დღის განმავლობაში რამდენჯერმე ბატიფეხურით დაწერილი ბარათები მისრიალებს. მათი ადრესატები ორი მეგობარია. ერთი ეკა ქევანიშვილია, მეორე - ნებისმიერი, ვისაც ამ სახლში დასახლების, მისი მოვლის, პატრონობის, ზოგჯერ კი ეკას მასპინძლობის სურვილი ექნება. ეკა სახლს ყიდის, ყიდის აფხაზ მეგობარზე და ის აუცილებლად მეგობარი უნდა იყოს, რათა წლების შემდეგაც შეძლონ სახლებს შორის გაბმული თოკით ჭორაობა.

სალომე ბენიძის წიგნისგან განსხვავებით ეკა ქევანიშვილის კრებული ერთგვარ მანიფესტადაც შეგვიძლია აღვიქვათ - მოწოდებების, ლოზუნგების, ტრანსფარანტების კრებულად. ავტორი აქ ყველანაირ სენტიმენტებს აქრობს და მტკიცე, მყარი ფრაზებით შემოჰყავს პერსონაჟები: დევნილები, წითელი ჯვარი, პატრიარქი, ხელისუფლება, ქმრები, ცოლები, ცხადია, საკუთარი თავიც, რადგან ეკა ამ ყველაფრის პროტაგონისტია, ცენტრია, ორბიტაა, სწორედ ის ნიშნულია, საიდანაც ყველა ისტორიის ათვლა იწყება და სხვა და სხვა მიმართულებით იწყებს დაქსაქსვას.

ეკა ქევანიშვილი: „როგორი ხასიათის ლექსსაც უნდა წერდე, პირად დამოკიდებულებას ვერასდროს გაექცევი, რადგან ტექსტის ხარისხსა და სიმძაფრეს სწორედ შენში მიმდინარე პროცესი განსაზღვრავს. კრებულს კონკრეტული სამიზნეები ჰყავს, მათი შინაარსი კი ჩვენი ყოველდღიურობის იმ დეტალებს აერთიანებს, რომლებიც, შეუძლებელია, ადამიანს არ აწუხებდეს. მეც ადამიანი ვარ, ამიტომ სწორად მივიჩნიე, რომ ამჯერად მხოლოდ ჩემი პირადი ისტორიებისგან თავი შემეკავებინა და წიგნად ყველას პირადი ამბები ამეკინძა.“

წიგნში თავმოყრილი ისტორიების მოძიებისთვის კი ეკა ქევანიშვილს ზედმეტი დრო არ დაუხარჯავს - „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი მათ ყოველდღიურად აწყდება და ამბობს კიდეც: „პირველი კრებული „ჭორია“ პირადი გახლდათ, მეორე - „აქ ნუ დადგებით“ უფრო სოციალურ თემატიკას ეხმიანებოდა, „სახლის გაყიდვა“ კი ყველაფერ იმას, რაც ასე მაწუხებს, მაღიზიანებს, მთრგუნავს და მაშინებს.“

და აქაც ერთი, თითქმის ისეთივე დეტალი: „სახლის გაყიდვა“ (გამომცემლობა „საუნჯე“) სავარაუდოდ ეკა ქევანიშვილის ბოლო პოეტური კრებულია, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე მაინც, ვიდრე მაგარ ყდაში ჩასასმელად საუკეთესო ლექსების მარაგი არ დაუგროვდება.

კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია რუსეთის ბაზარზე არ დაუბლოკავთ

xxკომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია რუსეთის ბაზარზე უკვე სამი თვეა წარმატებით და შეუფერხებლად იგზავნება. ივნისის შემდეგ კომპანიამ რუსეთის ფედერაციაში 650 000 ბოთლზე მეტი ღვინო გაიტანა. ამის გარდა, მოხდა კომპანია „ასკანელი ძმების“ კონიაკის ნიმუშების სერთიფიცირებაც. კონიაკები „ასკანელი“ და „გიდელი“ ექსპორტზე გასატანად უკვე მზადაა და უახლოეს დღეებში მოხდება მათი რუსეთის ფედერაციაში გაგზავნა. ამის შესახებ ნაქთქვამია „ასკანელი ძმების“ მიერ დღეს გავრცელებულ ოფიციალურ პრესრელიზში.

როგორც ასკანელი ძმების დამფუძნებელი ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელი აცხადებს, რუსეთის ბაზარზე ამ დროისთვის „ასკანელი ძმების“ ცხრა დასახელების ღვინო გადის. „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „ალაზნის ველი - წითელი“, „ალაზნის ველი-თეთრი“, „ხვანჭკარა“, „საფერავი“, „მუკუზანი“, „ახაშენი“ და „ოჯალეში“ - ეს იმ ღვინის სახეობებია, რომელის რეალიზებასაც რუსეთის უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი „მაგნიტი“ ფედერაციის მთელი მასშტაბით ახორციელებს. ასევე ასკანელი ძმების პროდუქციის დისტრიბუცია რუსეთში ისეთ დიდ ქსელბში და ჰიპერმარკეტებში ხორციელდება როგორებიცაა „X 5“, „კოპეიკა“, „პერეკრესტოკი“, „კარუსელი“ და სხვა.

კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსეთის სამომხმარებლო უფლებათა დაცვის ფედერალურმა სამსახურმა (როსპოტრებნადზორი), კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია დაბლოკა, სიმართლეს არ შეესაბამება.

„სახეზეა რიგითი გაუგებრობა, ვინაიდან კომპანიის ღვინო უკვე სამ თვეზე მეტია იგზავნება რუსეთის ფედერაციაში და ამ დრომდე არც პარტნიორი კომპანიებისგან და არც ფედერალური სამსახურისგან ჩვენს პროდუქციას არავითარი პრობლემა არ შექმნია. ჩვენმა კომპანიამ უკვე მიმართა ონიშენკოს უწყების წარმომადგენლებს, საიდანაც მოვიდა პასუხი, რომ კომპანიასთან არავითარი შენიშვნა არ აქვთ“ - განაცხადა „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელმა ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელმა.

მისივე ინფორმაციით, კომპანია დინამიურად ვითარდება, შენდება ახალი საწარმო, რომელიც აღჭურვილი იქნება იტალიური ტექნიკა-დანადგარებით. გაორმაგებული სიმძლავრის მქონე ქარხნის მშენებლობა ISO სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს და 6 თვეში დასრულდება.

ბრაზილიაში მშვიდობიანი აქცია ძალადობაში გადაიზარდა

რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუში მასწავლებლების მშვიდობიანი აქცია პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. რიო-დე-ჟანეიროს ცენტრში მშვიდობიან მსვლელობაში მონაწილეობისთვის 10 000 ადამიანი გამოვიდა. თუმცა, ზოგიერთი დემოსტრანტი აგრესიულ ქმედებაზე გადავიდა. ოცამდე ანარქისტმა ბანკებისა და სხვადასხვა შენობების გატეხვა დაიწყო. ამასთან, «ბი-ბი-სი»-ს ინფორმაციით, დემონსტრანტებმა ავტობუსიც დაწვეს. პოლიციამ საპასუხოდ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ბრაზილიელი მასწავლებლები უკვე ორი თვეა, ხელფასების გაზრდას მოითხოვენ.

ლამპედუზასთან ნაპოვნი ცხედრების რაოდენობამ 232-ს მიაღწია

რამდენიმე დღის წინ იტალიის კუნძულ ლამპედუზასთან გემი ჩაიძირა, რის შესახებაც დაწვრილებით წერდა «24 საათი». შემთხვევის ადგილზე, გუშინდელი დღისთვის, 232 ცხედარი იპოვეს. მაშველებმა 155 მგზავრის გადარჩენა შეძლეს. გემზე სულ 500 ადამიანი იმყოფებოდა. მგზავრების უმეტესობა ერიტრეადან და სომალიდან იყო.

ისრაელი ევროკავშირს ირანის სანქციების გაგრძელებისკენ მოუწოდებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ამ კვირაში ირანის ბირთვულ პროგრამაზე სასაუბროდ ევროპის ლიდერებს შეხვდება. ისრაელის «Army Radio»-ის ცნობით, პრემიერი ევროპის ლიდერებს მოუწოდებს, ირანის მიმართ დაწესებული სანქციები არ შეამსუბუქონ. ნეთანიაჰუს აზრით, რაც უფრო მეტი ზეწოლა იქნება, ირანის ბირთვულ პროგრამის გარშემო დიპლომატიის გამარჯვების მეტი შანსი იარსებებს. ცნობისათვის - დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს. აღნიშნულს თავად ირანი კატაგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა ქვეყანა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება. ცოტა ხნის წინ ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმაც განაცხადა, რომ «ირანს ბირთვული იარაღი არასდროს ექნება.»

საბერძნეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ქრთამის აღებაში ცნეს დამნაშავედ

«ნიუ-იორკ თაიმსის» ცნობით, საბერძნეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ქვეყნის «სოციალისტური პარტიის» ერთ-ერთი თანადამაარსებელი აკის ცოხაძოპულოსი ორშაბათს ფულის გათეთრების საქმეში დამნაშავედ ცნეს. მან მილიონობით დოლარის ქრთამი აიღო, რომელიც, მისი თქმით, მთავრობას იარაღის შესყიდვისათვის უნდა გამოეყენებინა. მოსამართლემ ამ საქმეში, ყოფილი მინისტრის გარდა, მისი ცოლი და ქალიშვილიც ცნო დამნაშავეებად. თავდაცვის ყოფილ მინისტრს 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მისი ადვოკატის თქმით, განაჩენს გაასაჩივრებენ.

ნიკ კლეგი: «კამერონი ევროკავშირის საკითხში ცეცხლს ეთამაშება»

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონის დანაპირები ევროკავშირთან დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის რეფორმირების შესახებ, მისი პარტიის გაერთიანების ცუდი მცდელობაა, რამაც შესაძლოა, «ეკონომიკურ თვითმკვლელობამდე» მიგვიყვანოს - ამის შესახებ საუბარს, «როიტერის» ცნობით, დიდი ბრიტანეთის ვიცე-პრემიერი ნიკ კლეგი სამშაბათს აპირებს. ნიკ კლეგის ოფისის მიერ წინასწარ გავრცელებულ გამოსვლის ტექსტში ასევე ნათქვამია, რომ: «ეს არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკური გათვლაა, რომელიც ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებს დააზიანებს.»

კამერონმა ჯერ კიდევ იანვარში განაცხადა, რომ 2017 წელს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში წევრობის საკითხზე რეფერენდუმს ჩაატარებდა.

ევროკავშირის მოწინააღმდეგეები ამ ორგანიზაციას დიდი ბრიტანეთის სუვერენიტეტისთვის საფრთხედ აღიქვამენ და ირწმუნებიან, რომ თუ ბრიტანეთი ევროკავშირს დატოვებს, ქვეყანა მილიარდობით დოლარს დაზოგავს.

ამერიკაში ახალი ასდოლარიანი კუპიურა გამოვიდა

ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ სამშაბათიდან მიმოქცევაში გაუშვა ასდოლარიანების ახალი კუპიურები უფრო ძლიერი დამცავი მექანიზმებით. ახალ ბანკნოტს სამგანზომილებიანი ცისფერი ზოლი ექნება, რომელიც ქაღალდში «ჩაკერებული» იქნება და არა - მასზე დაბეჭდილი.

სარკოზის წინააღმდეგ საქმე დახურეს

დაიხურა საქმე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის წინააღმდეგ, რომელიც 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ კომპანია L'Oreal-ის ხელმძღვანელ ლილიან ბეტანკურის ნდობის ბოროტად გამოყენებაში იყო ეჭვმიტანილი. 2013 წლის მარტში სარკოზი ბეტანკურის ჯანმრთელობის მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენებაში დაადანაშაულეს. ბეტანკურის ყოფილი თანაშემწის მტკიცებით, ბეტანკურმა სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის სერიოზული თანხა «შესწირა». თავად სარკოზი ამ ბრალდებებს ყოველთვის უარყოფდა. ამ საქმის დახურვით სარკოზის კვლავ ეძლევა საშუალება, 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ყარზაიმ ნატოს ოპერაცია უარყოფითად შეაფასა



ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ მკაცრად გააკრიტიკა ნატო და განაცხადა, რომ 10-წლიანი (უფრო ზუსტად, 12-წლიანი) სამხედრო ოპერაციის განმავლობაში დასავლეთმა ავღანეთში სტაბილურობის უზრუნველყოფა მაინც ვერ მოახერხა. ის ეჭვქვეშ აყენებს ამერიკასთან უსაფრთხოების საკითხზე ხელშეკრულების ხელმოწერასაც, რომელიც ამ ქვეყანაში მცირე ამერიკული კონტინგენტის დარჩენის იურიდიული საფუძველი უნდა გახდეს.

«უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნატოს მთელმა ოპერაციამ ავღანეთში გამოიწვია უზარმაზარი ტანჯვა, უამრავი სიცოცხლის მოსპობა და არ მოიტანა არანაირი შედეგი, რადგან ქვეყანა არ გამხდარა უსაფრთხო," - განაცხადა მან. ყარზაის სიტყვებით, ნატომ შეცდომა დაუშვა, როდესაც მთელი თავისი ძალისხმევა ავღანეთის სოფლებში მებრძოლების ძებნას მოახმარა და ყურადღება არ დაუთმო თალიბების თავშესაფარს პაკისტანში. «უნდა ვაღიარო, რომ ქვეყანაში უსაფრთხოება საკმაოდ შეზღუდულია. ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვჭირდება. ჩვენ გვჭირდებოდა აბსოლუტური უსაფრთხოება და მკაცრად გამოკვეთილი ბრძოლა ტერორთან," - განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტმა «ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ჰამიდ ყარზაი თავის პოსტზე კიდევ 6 თვე იქნება. რის შემდეგაც არჩეულ უნდა იქნეს მისი მემკვიდრე. ეს არის მისი ბოლო ვრცელი ინტერვიუ ამ პოსტზე ყოფნისას.

«ბი-ბი-სის" ჟურნალისტების კითხვაზე მან განაცხადა, რომ მისი უპირველესი ამოცანაა ქვეყანაში მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მათ შორის ძალაუფლების განაწილების შესახებ თალიბებთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. მან თქვა, რომ მისი მთავრობა ამ ეტაპზე რადიკალ ისლამისტებთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს და ამ მოლაპარაკებების მიზანი განმარტა. «ისინიც ავღანელები არიან. იქ, სადაც თალიბების წარმომადგენელი შეიძლება, ავღანეთის პრეზიდენტმა ან ქვეყნის ხელისუფლებამ სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშნოს, ასეთ დანიშვნებს ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. მაგრამ, როცა ეს სახელმწიფო პოსტი არჩევითია და მის დასაკავებლად ავღანელი ხალხის მხარდაჭერაა საჭირო, თალიბებს არჩევნებში მონაწილეობა მოუწევთ."

ყარზაიმ უარყო გარკვეულ წრეებში არსებული შეშფოთება იმის გამო, რომ თალიბების დაბრუნებამ სამთავრობო სტრუქტურებში შეიძლება, მოსპოს ბოლო პერიოდში ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატებები ქალების უფლებების მხრივ, რადგან ეს მიღწევები ისედაც საკმაოდ მყიფეა. «თალიბების დაბრუნება პროგრესზე უარყოფითად არ იმოქმედებს. ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია მშვიდობა. მე მზად ვარ, მხარი დავუჭირო ნებისმიერ ზომებს, რაც უზრუნველყოფს ავღანეთში მშვიდობას და ამ გზით ავღანელი ქალებისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება უკეთესი მომავალი...» «ეჭვი არ მეპარება, რომ სულ უფრო მეტი ავღანელი ქალიშვილი და ქალი მიღებს განათლებას, მათ შორის უმაღლესს. შესაბამისად, მიიღებენ სამსახურის შოვნის მეტ შესაძლებლობას. ეს პროცესი თალიბების დაბრუნების შემთხვევაშიც არ შენელდება,» - დარწმუნებულია ყარზაი.

აშშ-ს სურს, ჯერ კიდევ არჩევნებამდე მოაწეროს ხელი ავღანეთთან ხელშეკრულებას უსაფრთხოების თემაზე და საბოლოოდ განსაზღვროს ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის 2014 წლის შემდგომი პერიოდისთვის, როდესაც ქვეყანას ნატოს კონტინგენტი დატოვებს. აშშ ცდილობს, მიაღწიოს, რომ ყარზაიმ ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს, რადგან სხვა შემთხვევაში ამ დოკუმენტების ბედი შეიძლება, წინასაარჩევნო ბრძოლის მძევალი აღმოჩნდეს. თუმცა ავღანეთის პრეზიდენტმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმებას არ ჩქარობს. «აშშ-სთან ხელშეკრულება ავღანეთის ინტერესებს და მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს. თუ ხელშეკრულება ხელს არ გვაძლევს ჩვენ ან იმათ, მაშინ ჩვენი გზები ბუნებრივად გაიყრება,» - თქვა ავღანეთის პრეზიდენტმა.

ვაშინგტონი სულ უფრო სკეპტიკურად უყურებს თავის შესაძლებლობებს, მიაღწიოს შეთანხმებას ქაბულთან. აშშ უკვე განიხილავს ავღანეთიდან თავისი სამხედროების სრული გამოყვანის შესაძლებლობას. სხვათა შორის, ასე მოხდა ერაყშიც, თუმცა ამის შემდეგ იქ სიტუაცია ნელ-ნელა გაუარესდა, კონფესიებს შორის ძალადობამ იმატა და ყოველ კვირაში ათობით ადამიანი იღუპება.

ადრე იგულისხმებოდა, რომ ნატოს კონტინგენტის გასვლის შემდეგაც ავღანეთში ამერიკელი სამხედროების მცირე რაოდენობა დარჩებოდა, რომლებიც ადგილობრივ კოლეგებს გაწვრთნიდნენ და განსაკუთრებულ შემთხვევებში მონაწილეობას მიიღებდნენ ლოკალურ კონტრტერორისტულ ოპერაციებში.

ბოლო წლებში ჰამიდ ყარზაი ნატოს ავღანეთის სუვერენიტეტის უპატივცემულობაში ხშირად სდებდა ბრალს, რამაც სერიოზულად დაზარალა მისი ურთიერთობები დასავლელ მფარველებთან. ჯერ კიდევ 2009 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჰამიდ ყარზაის არასანდო პარტნიორი უწოდა. თუმცა დასვლეთმა ყარზაის მის მიერ სერიოზულად გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მაინც დააფარა ხელი.

ექსპერტები 2014 წლის შემდეგ ავღანეთში სიტუაციის განვითარების სამ სავარაუდო სცენარზე საუბრობენ. პირველი ვარიანტით, ხელისუფლებაში «თალიბები დაბრუნდებიან, მეორე შემთხვევაში - სამოქალაქო ომი დაიწყება, რომელიც დიდხანს გაიწელება. მესამე ვარიანტში, არსებული რეჟიმი და «თალიბანი» გავლენის სფეროებს ერთმანეთში გაინაწილებენ. უახლოეს პერსპექტივაში სწორედ ეს მესამე ვარიანტია ყველაზე რეალური. მოსალოდნელი დესტაბილიზაცია, ცხადია, ავღანეთის მეზობლებსაც შეეხება, რომლებსაც სიტუაციის სხვადასხვა განვითარებისთვის წინასწარ მომზადებაც მოუწევთ.

ბი-ბი-სის მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

კიევი ისევ ორ სკამზე ჯდომას ცდილობს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუმცა ასე არ ფიქრობენ ბრიუსელში და, მით უმეტეს, არც მოსკოვში. კრემლი უკრაინის გადაბირებას ისევ ცდილობს. ზაფხულში ჩატარებული დემარშებისა და საბაჟო პრობლემების შემდეგ, რაც „მათრახის დარტყმას" თუ არა, მოღერებას მაინც ნიშნავდა, უკვე საქმეში „თაფლაკვერის" მომენტიც გაჩნდა. რუსეთმა უკრაინას გაზის ფასი დაუკლო, ოღონდ ჯერ გაუგებარია, რამდენი ხნით.

ორი დღის წინ უკრაინის პრემიერი ნიკოლაი აზაროვი ვიზიტით მინსკში იმყოფებოდა. ბელარუსის მდგომარეობა ბევრი თვალსაზრისით ჰგავს უკრაინისას, თუმცა ლუკაშენკოს პრიორიტეტები უკრაინულისგან პრინციპულად განსხვავდება. მას ევროპასთან ურთიერთობა არანაირად არ გამოსდის, ხოლო მოსკოვისგან „მაქსიმუმის მიღებაში" ბადალი არ ჰყავს. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, აზაროვი მინსკში ჩასვლით ცდილობს, რჩევები მიიღოს და ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების შესაძლო გაფორმების გამო „რუსეთის რისხვა" შეარბილოს. ეს დიდი ალბათობით შესაძლოა, ვილნიუსის სამიტზე განხორციელდეს. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ხელშეკრულება უკვე ორ წელზე მეტია, მზად არის და მის ხელმოწერას პოლიტიკური ბარიერები ეღობებოდა. კიევი ამ „ბარიერს" ხსნის - სამკურნალოდ გერმანიაში უშვებს ციხეში, უფრო სწორად, პატიმრობაში, ოღონდ საავადმყოფოში მყოფ იულია ტიმოშენკოს. მინსკში შეხვედრისას ალექსანდრ ლუკაშენკომ უკრაინის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა წარმოაჩინა, როგორც უკვე მომხდარი ფაქტი. მან აღნიშნა, რომ ეს უკრაინის უფლებაა და ბელარუსი ამ სუვერენულ უფლებას პატივს სცემს. ლუკაშენკომ კიევს მაინც ურჩია, მაქსიმალურად ჩაერთოს ინტეგრაციულ პროცესებში საბაჟო კავშირში. რეალურად, ბელარუსიც და ყაზახეთიც მიიჩნევენ, რომ საბაჟო კავშირისგან მოსალოდნელი სარგებელი ვერ მიიღეს. ამასწინათ ყაზახეთში ვიზიტისას ლუკაშენკომ ამ კავშირისთვის ერთიანი ვალუტის შემოღების ან პოლიტიკური ზედნაშენის შექმნის შესაძლებლობაც გამორიცხა. მისი აზრით, მოსკოვს მათთვის ჯერ „ინტეგრაციული ანგარიშებიც" არ გაუსწორებია.

მინსკსა და კიევს შორის მაქსიმალურ ურთიერთგაგებაზე ბევრი რამ მეტყველებს როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო ეკონომიკურ სფეროში. პრობლემებს ანტიმონოპოლიურ თუ სავაჭრო საკითხებში ეს ქვეყნები ზედმეტი ხმაურის გარეშე, სამუშაო ატმოსფეროში აგვარებენ, უკრაინული ინვესტიციები ბელარუსში ბოლო ორ წელიწადში ოთხჯერ გაიზარდა და მხოლოდ რუსეთისას ჩამორჩება. ბელარუსის ოფიციალური მედია არასდროს ლანძღავს უკრაინას პროდასავლურობისთვის, რასაც «არ იშურებს» ორი სხვა მეზობლის - პოლონეთისა და ლიტვის მიმართ. ბელარუსი უკრაინას შეიძლება, ნაწილობრივ მოსკოვთან შუამავლადაც გამოადგეს, ბელარუსს კი, დასავლეთის მიმართულების „ჩაკეტვის" გამო, მანევრირებისთვის სივრცე სჭირდება და ამ შემთხვევაში უკრაინა მისთვის შეუცვლელია.

უკრაინის პრემიერმა აზაროვმა ბელარუსის ტელევიზიას ინტერვიუც მისცა, რომელშიც განმარტა, რომ უკრაინა სულაც არ აპირებს უკანმოუხედავად და ხვალვე „გადაეშვას ევროპაში". ინტეგრაციისა და სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის 10-წლიანი გარდამავალი პერიოდია განსაზღვრული, აზაროვი კი არც ცდილობს იმის პროგნიოზირებას, რა იქნება 10 წლის შემდეგ. ამ პერიოდში ის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთანაც კარგ ურთიერთობას გეგმავს. მისი ეს სიტყვები აშკარად მიანიშნებდა იმაზე, რომ 10 წლის შემდეგ რუსეთის პოზიციაც შეიძლება, ბუნებრივად შერბილებული და ბევრ რამეს შეგუებული იყოს.

უკვე ამ ვიზიტის შემდეგ რუსეთმა, კერძოდ პრეზიდენტმა პუტინმა გამოაცხადა, რომ უკრაინას გაზის ფასს 410-დან 260 დოლარამდე დაუკლებს, ფორმალურად გაზსაცავში ჩასატვირთად. მას არ დაუზუსტებია, ეს ფასდაკლება ერთჯერადია თუ გაზის მიწოდების ხელშეკრულებას მთლიანად ეხება. ამას გარდა, რუსეთმა უკრაინას კრედიტიც გამოუყო, თუმცა ამ კრედიტის მიღებას უკრაინა ჯერ არ ადასტურებს. აზია-წყნარი ოკეანის სამიტზე მყოფმა პუტინმა ოფიციალურ კიევს კიდევ ერთხელ მოუწოდა, არჩევანის გაკეთებამდე კარგად დაფიქრდეს. სხვა რუსი ჩინოვნიკებიც კიევს ახსენებენ, რომ საბაჟო კავშირში შესვლით უკრაინა ახლავე მიღებს, დაახლოებით, 9 მილიარდამდე ფასდაკლებას გაზისა და ნავთობის კონტრაქტებზე, ასევე ბარიერების მთლიანად მოხსნას ტვირთბრუნვაზე. ეს შეთანხმება ერთი დღის მიღწეული არ არის და კიევმა მის შესახებ ნამდვილად იცოდა 10 დღისა თუ ორი კვირის წინ, თუმცა ამას მისი „დასავლეთისკენ სვლა" არ შეუნელებია. სწორედ ამ პერიოდში მიიღეს გადაწყვეტილება ტიმოშენკოს შესახებ; გაკეთდა განცხადებები ფიქალის გაზის მოპოვებაზე უკრაინაში და გაზის მიწოდების დივერსიფიკაციაზე. უკრაინა ვარაუდობს, რომ მისი საკუთარი გაზის თვითღირებულება 160 დოლარს არ გადააჭარბებს (საბაჟო კავშირის შიდა მიწოდების ფასი), ხოლო საცალო ღირებულება 200 დოლარზე მეტი არ იქნება. ამას გარდა, უკრაინის პრემიერმა აზაროვმა მკაფიოდ განაცხადა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციულ პროექტებში ქვეყნის სრულფასოვანი ჩართვა მხოლოდ რეფერენდუმის გზით გადაწყდება.

ლევან მჭედლიძე „ემპოლიში„ რჩება

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქართველ ლეგიონერსა და „ემპოლის“ შორის თანამშრომლობის გახანგრძლივებაზე საუბრობს კლუბის მწვრთნელი მაურიციო სარიც. მისი თქმით, სამწვრთნელო შტაბს და კლუბის ხელმძღვანელობას ლევანის შესაძლებლობების სჯერათ და იმაშიც დარწმუნებულნი არიან, რომ ქართველი ლეგიონერი ზრდას გააგრძელებს, რაც მას საბოლოოდ ჩამოაყალიბებს უმაღლესი დონის თავდამსხმელად.

„პიანეტა ემპოლის“ ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა „ემპოლისთან“ ხელშეკრულება გააგრძელა, ეს არ გამორიცხავს მომავალში „პარმაში“ მის შესაძლო ტრანსფერს.

ლევან მჭედლიძის „პარმაში“ შესაძლო გადასვლაზე საუბრები იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარეს დღეს კი არაბეთის გაერთიანებული სახალიფოს კლუბ „ალ ნასრის“ მწვრთნელის ვალტერ ძენგას ნათქვამის შემდეგ გამძაფრდა. ინტერნეტგამოცემა palermo24.net-თან საუბარში ძენგამ განაცხადა, რომ ლევან მჭედლიძესა და აბელ ერნანდესს, „პალერმოში“ პრობლემები არასაკმარისი პროფესიონალიზმის გამო შეექმნათ: „მახსოვს, „პალერმოს“ პრეზიდენტ ძამპარინის ვესაუბრე და მითხრა, რომ სასწრაფოდ ორი ახალგაზრდა თავდამსხმელი აბელ ერნანდესი და ლევან მჭედლიძე შეიძინა. თუმცა, ყველაფერი პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ყველა რომ ბუფონივით პროფესიონალი იყოს, იდეალური იქნებოდა.

ამ მხრივ მეტ-ნაკლებად უკეთეს მდგომარეობაში ერნანდესია, მჭედლიძე კი დაიკარგა, არადა, მას შეეძლო უკეთეს დონეზე ეთამაშა“.

მჭედლიძეს „პარმაში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით კი ამბობდა, გამიხარდება, თუ მას სერია ა-ში ვიხილავ, რადგან თამაში შეუძლიაო.

დღესდღეობით „ემპოლი“ 17 ქულით მეორე ადგილზეა.

ლევან მჭედლიძემ „ემპოლისთან“ ხელშეკრულება 2007 წლის ივლისში გააფორმა. 2008-2010 წლებში მან იჯარით „პალერმოში“ ითამაშა. მის იტალიურ კარიერაში 84 თამაშზე 6 გოლი მოდის.

შეგახსენებთ, რომ „ემპოლიში“ კიდევ ერთი ქართველი თავდამსხმელი ირაკლი შეყილაძე ირიცხება.

ირაკლი ლომიძე: აუზიდან სამიზნემდე

18 წლის ირაკლი ლომიძე აზიის სროლის ჩემპიონატზე 30 სექტემბერს გაემგზავრა. ირაკლი 1995 წლის 21 თებერვალს, სამხრეთ აფრიკაში დაიბადა. აქვს ორმაგი მოქალაქეობა (საქართველო, სამხრეთ აფრიკა). მოკლე სპორტული ვოიაჟი: ცურვიდან - წყალბურთში, წყალბურთიდან - სროლაში. 18 წლის სპორტსმენი მრავალპროფილიანი უნივერსალია და ყველგან საკმაოდ კარგი შედეგები აქვს. უკვე მიიღო მონაწილეობა სროლის 2 საერთაშორისო ჩემპიონატში და მესამედ იასპარეზებს საქართველოს სახელით საერთაშორისო არენაზე, ამჯერად აზიაში.

ლომიძემ ცურვა 12 წლის ასაკში დაიწყო. როგორც თავად ირაკლი აღნიშნავს, ხანმოკლე კარიერის შეჯამებისას, მას, როგორც მოცურავეს, საკმაოდ შედეგიანი კარიერა ჰქონდა. თუმცა არა ისეთი, როგორიც თავად სურდა. ის არ იყო ლიდერი. უბრალოდ, იყო მოწინავე პოზიციებზე. ძირითადად, თავისუფალი სტილით და გულაღმა ცურავდა. ლომიძე-მოცურავის კარიერა 16 წლის ასაკში დასრულდა, როცა ის საქართველოს წყალბურთის ახალგაზრდულ ნაკრებში გადაიყვანეს. ამ პროცესს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია: მას შელაპარაკება მოუვიდა თანაგუნდელებთან, რის გამოც გამოუშვეს ნაკრებიდან. ლომიძე ცურვას უბრუნდება და ძირითადად, გულაღმა ცურვის სტილში ვარჯიშობდა. თუმცა ჯანმრთელობის გაუარესების გამო იგივე დატვირთვით ვარჯიში აღარ გამოუვიდა და იძულებითი, ნახევარწლიანი

პაუზა აიღო.

ამ პერიოდში ჩამოყალიბდა წყალბურთის გუნდი «ზვიგენები» და ირაკლი წყალბურთს დაუბრუნდა. გუნდი ვეტერანი წყალბურთელებით იყო დაკომპლექტებული. «ზვიგენებში» სტაბილური თამაშის შემდეგ, ის კვლავ ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. ლომიძე ადის ერთი დონით ზემოთ და უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილებას იღებს. შემდეგი დონე - სინჯები ეროვნულ ნაკრებში და ახალგაზრდულის უცვლელ წევრად რჩება. ამ ცვლილებების პარალელურად სპორტსმენი თბილისის «თბილისში» აიყვანეს. სადაც ის დღემდე ირიცხება.

თბილისის «თბილისთან» ერთად ამერიკული ტურის დროს, ადგილობრივმა გუნდმაც მოიწონა პროგრესული უნივერსალი და ლომიძე Los-Angeles Valley College-ში სათამაშოდ მიიწვიეს. ირაკლის თქმით, საბუთები უკვე მზად აქვს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, ამ ეტაპზე ტრანსფერი ბოლომდე ვერ მიდის.

ახალგაზრდა უნივერსალი თავისუფალ დროს ნადირობას უთმობდა. სროლა მამამ ასწავლა და ნადირობა ბავშვობიდან შეაყვარა. ირაკლი ნელ-ნელა დაიხვეწა და კარგ მსროლელად ჩამოყალიბდა. ირაკლის მამამ ჩათვალა, რომ მის შვილს პროფესიულ დონეზე უნდა გამოეცადა თავი. უკვე ერთი წელია, რაც მან სროლაში დაიწყო ვარჯიში. მისი იარაღი ორლულიანი სპორტული თოფია: Perrazzi 2000/8. საუკეთესო შედეგი: 125-დან 109 დაზიანებული სამიზნე, რაც საქართველოში მეორე შედეგია. ლომიძე საერთაშორისო დონეზეც პროგრესირებს. მხოლოდ ერთწლიანი პროფესიული კარიერის გათვალისწინებით, ირაკლის აქვს მიღებული აუცილებელი გამოცდილება - მან უკვე იასპარეზა სროლის მსოფლიო ჩემპიონატზე კვიპროსში, სადაც 125-დან 101 დაზიანებული

სამიზნე ჰქონდა. გერმანიაში, იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე ლომიძე მეთექვსმეტეა. 3 და 4 ოქტომბერს ირაკლი აზიის სროლის ჩემპიონატზე გავიდა. დაიკავა მეათე ადგილი. მონდომება და პროგრესი სახეზეა. ლომიძე პროგრესირებს. მთავარია, ეს პროცესი ერთჯერადი არ იყოს.

მსოფლიო რბენს მათთვის ვისაც ეს არ შეუძლია!

2014 წლის 4 მაისს სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და უნიკალური ღონისძიება Wings for Life World Run გაიმართება, სადაც ქველმოქმედებისთვის მთელი მსოფლიო გაერთიანდება, საქართველო კი მისი ნაწილი გახდება.

4 მაისს საქართველოს დროით 13:00 საათზე 5 კონტინენტის 40 სხვადასხვა ქვეყანაში ასი ათასობით მორბენალი ერთდროულად დაიწყებს რბენას. ამ დროს კალიფორნიაში დილის 3 საათი, ტაივანში საღამოს 6 საათი, ავსტრალიაში და ტოკიოში კი დილის 4 საათი იქნება.

Wings for Life World Run- ის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ *არ არის განსაზღვრული ტრასის მანძილი და დრო, არ არსებობს საფინიშო ხაზი.* სპორტის ისტორიაში მსგავსი ღონისძიება ჯერ არ ჩატარებულა. ტრადიციული ფინიშის ხაზის მაგივრად იქნება სპეციალური «ფინიშ მანქანა“, რომლებიც სტარტიდან 30 წუთში დაიწყებს სვლას და იმოძრავებს წინასწარ დადგენილი სიჩქარით (15 კმ/ს - 20 კმ/ს - 25 კმ/ს). როგორც კი ფინიშ მანქანა გადაუსწრებს მორბენალს, ის ავტომატურად ეთისება შეჯიბრს.

«მსოფლიო რბენაში“ მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია - როგორც მოხალისე მორბენლებს, ასევე პროფესიონალ სპორტსმენებს (ასაკი 18+). საქართველოში მონაწილეების სავარაუდო რაოდენობაა - 3000-5000, მსოფლიოში კი 200 000-ზე მეტი მორბენალი.

4 მაისი 13:00 - საქართველო, კახეთი, ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით «ფინიშ მანქანის“ დაწევამდე

მსოფლიო რბენის შედეგად ორი გამარჯვებული (ქალი და ვაჟი) გამოვლინდება. ისინი აღიარებულნი იქნებიან Wings for Life World Run-ის გლობალურ ჩემპიონებად და საჩუქრად მიიღებენ ექსკლუზიურ ტურს მსოფლიოს გარშემო. საქართველოს ეტაპის 2 გამარჯვებულს კი შესაძლებლობა მიეცემა მონაწილეობა მიიღოს 2015 წლის რბენაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რომელსაც თვითონ აირჩევს.

მონაწილეებს შორის იქნებიან: სერფინგის ვარსკვლავი Robby Naish, ფორმულა ერთის ლეგენდარული მძღოლები Sebastian Vettel, David Coulthard და Eddie Jordan, მოთხილამურე Luc Alphand, ტრიატლონელი Marc Herremans, მორბენალი Sabrina Mockenhaupt და სხვა ცნობილი სპორტსმენები - Wings for Life World Run-ის კეთილი ნების ელჩები მთელი მსოფლიოდან.

ღონისძიებიდან შემოსული სრული თანხა გადაეცემა Wings for Life-ის ფონდს, რომელიც აწარმოებს კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ. Wings for Life და Red Bull-ის საორგანიზაციო ჯგუფი უზრუნველყოფს ღონისძიების შედეგად შეგროვებული ფულის Wings for Life-ის ფონდში გადარიცხვას EMS (European Merchant Services) საგადასახადო სისტემის გავლით.

მონაწილეობის საფასურია 20 (ოცი) ლარი. რეგისტრაცია მიმდინარეობს ვებგვერდზე www.wingsforlifeworldrun.com 2014 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

„დინამო 2“-ს და „დინამოს“ დუბლშემადგენლობას ახალი მწვრთნელები ჰყავთ

მარტვილის „მერანის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჟვანია თბილისის „დინამო 2“-ის თავკაცად ოფიციალურად წარადგინეს. ამის შესახებ საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრესსამსახური იუწყება.

ჟვანია „მერანში“ 7 წელი მუშაობდა და გუნდს ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურის შემდეგ დაემშვიდობა. მას „დინამო 2“-ში გივი დიდავა და რამაზ სვანაძე დაეხმარებიან, ხოლო მეკარეების მწვრთნელი ლევან აბაშიძე იქნება. ჟვანიამ „დინამო 2“-ში ვასილ მაისურაძე შეცვალა, რომელიც ახლა მხოლოდ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში იმუშავებს.

„დინამოს“ დუბლშემადგენლობასაც ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. კახი გოგიჩაიშვილმა, რომელსაც „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრებში არაერთი მატჩი ჩაუტარებია, ვლადიმერ გოჩაშვილი შეცვალა. გოგიჩაიშვილს ასისტენტობას სულიკო დავითაშვილი გაუწევს, მეკარეებს კი, ზურაბ ქვაჩახია გაწვრთნის.

„დინამო 2“-ის და დუბლშემადგენლობის ახალი სამწვრთნელო შტაბები ვიტალი დარასელიას სახელობის თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიაში წარადგინეს.

fcdinamo.ge

პეპე რეინა „ბარსაში“ დაბრუნებას ლამობს

„ნაპოლის“ ესპანელი მეკარე პეპე რეინას „ბარსელონაში“ გადასვლის დიდი სურვილი აქვს. ამასთან გარკვეული გარემოებებიც ხელს უწყობს. ჯერ ის, რომ „ბარსელონას“ ამჟამინდელ კარის დარაჯს ვიქტორ ვალდესს ზაფხულში კლუბთან ხელშეკრულების ვადა ეწურება. მეორე ის, რომ ვალდესსაც ვალდესმა არარ სურს კატალონიურ კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივება, მესამე ის, რომ პეპე რეინას „ბარსაში“ თამაშის გამოცდილება უმაგრებს ზურგს, რაც მას ადაპტაციაში ხელს არ შეუშლის. კიდევ ის, რომ „ბარსელონა“ უკვე ეძებენ ახალ მეკარეს, პეპე რეინა კი ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

„ბარსელონაში“ დაბრუნება კარგი იქნებოდა. ძალიან მიხარია, რომ გამიხსენეს, მაგრამ ამ დროისთვის ჩემი მიზანი „ნაპოლისთან“ კარგი სეზონის ჩატარებაა.

ასე რომ, დაველოდოთ ზაფხულს. ვფიქრობ, „ბარსელონა“ ბევრ მეკარესთან დაიწყებს მოლაპარაკებას და მათგან პრეტენდენტების სიას შეადგენს. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ვიქტორ ვალდესთან დაკავშირებითაც“, - ამბობს რეინა, რომლის სატრანსფერი უფლებებიც „ლივერპულს“ ეკუთვნის.

„არსენალს“ სექტემბერი დაუფასდა

ლონდონის „არსენალისთვის“ სექტემბერი წარმატებული გამოდგა. წარმატებული იმ მხრივ, რომ „მეთოფეთა“ ფრანგი დამრიგებელი არსენ ვენგერი სექტემბრის თვეში ინგლისის პრემიერლიგაში საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, ხოლო მისი უელსელი შეგირდი აარონ რემზი საუკეთესო მოთამაშედ.

სექტემბერში ლონდონელებმა ოთხივე მატჩი მოიგეს. ამჟამად სატურნირო ცხრილის სათავეში უდგანან. გარდა ამისა, 22 წლის ნახევარმცველმა ოთხივე შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

ტიტო ვილანოვას „ბარსელონაში“ ელოდებიან

„ბარსელონას“ პრეზიდენტი სანდრო როსელი მზადაა, კატალონიური გუნდის ყოფილი დამრიგებელი ტიტო ვილანოვა, გამოჯანმრთელების შემთხვევაში კლუბში დაბრუნოს. ეგაა, არ დაუკონკრეტებია, დაბრუნების შემთხვევაში რა უფლება-მოვალეობები ექნება „ბარსას“ ყოფილს მწვრთნელს.

„ტიტოს ავადმყოფობა ყველაზე ცუდი რამაა, რაც ჩემი პრეზიდენტობის დროს მოხდა. ის ძლიერი, ენერგიული ადამიანია, რომელიც არ დანებდება. თუ ვილანოვა გამოჯანმრთელდება, ის გუნდში აუცილებლად დაბრუნდება. მართალია, ჯერ არ ვიცი, რა სტატუსით, მაგრამ მას შეუძლია დაბრუნდეს“, - აცხადებს სანდრო როსელი.

ვილანოვამ „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი წლეულს ივლისში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დატოვა (ვილანოვას ყელის კიბო სჭირდა, ოპერაციის შემდეგ მკურნალობის კურსი გაიარა და „ბარსელონაში“ დაბრუნდა, მაგრამ რეაბილიტაციის კურსი კვლავ დასჭირდა და იძულებული გახდა „ბარსას“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან საბოლოოდ გადამდგარიყო).

იყო იმაზე საუბარიც, რომ სექტემბერში, ის კლუბში დაბრუნდებოდა და სპორტული დირექტორის, ანდონი სუბისარეტას მრჩეველი იქნებოდა.

„რეალი“ ვალებში იხრჩობაო

მადრიდის „რეალის“ ვალი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამაზე საუბრობდნენ.

ესპანური AS-ის ცნობით, სამეფო კლუბს სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების, ფეხბურთელებისა და მათი აგენტების ვალი აქვს, რომლის საერთო რაოდენობაც 541 მილიონ (!) ევროს შეადგენს.

არადა, საუბრობდნენ იმაზე, რომ „რეალის“ ვალი 90 მილიონ ევროს შეადგენდა. ახლა კი ირკვევა, რომ მადრიდელებს ეს თანხა მხოლოდ ბანკებისთვის ჰქონიათ გადასახდელი.

ისიც ვთქვათ, რომ „რეალი“ „სანტიაგო ბერნაბეუს“ რესტავრაციასაც გეგმავს, რასაც დაახლოებით 400 მილიონი ევრო დასჭირდება.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM
5 OCTOBER
Tbilisi, Georgia
20:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX PROM
BEAUTY SALON L'Académie
OUTdooR.ge
saller
ADSSPRINT
SHOES-CAFE MADONNA
TBILISI MALL
McCANN TBILISI
NEPTUN
MUSIC BOX
MYVIDEO.GE
EGO
GHN
ANGEL
MSG MARKETING
24 საათი
allmovies.ge
Pink
LUXURY
IMPERIAL PALACE HOTEL
KAMOBLOG.TV
FASHION BLOG .AM